განკარგულება:**გ-63. 632608210**
თარიღი:**23/03/2026**

ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის სს „ლიბერთი ბანკი“-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304) უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

სს „ლიბერთი ბანკი“-მ (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304), როგორც სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციულმა ბანკმა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში უნდა განათავსოს ბანკომატი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.დ“–ქვეპუნქტისა და 122–ე მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის სს „ლიბერთი ბანკი“-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304) უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სს „ლიბერთი ბანკი“-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304), ბანკომატის განთავსებისათვის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართი.

2. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) წელი.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი